პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 225 (3455)

19 1967 წ. ნოემბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

25 და 30 ნოემბერს

ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირმა (უეფა), სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციებთან შეთანხმებით, გადაწყვიტა ვადები მერვედფინალური მატჩებისა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე მოსკოვის „ტორპედოსა“ და ტრნავის „სპარტაკს“ შორის. პირველი შეხვედრა გაიმართება 25 ნოემბერს ტაშკენტში, ხოლო მეორე — 30 ნოემბერს ტრნავაში (ჩეხოსლოვაკია).

მეორე მატჩიც!

ბუდაპეშტი, 17 ნოემბერი. ადგილობრივმა „ვაშაშმა“ დამაჯერებლად მოუგო განმეორებითი მატჩი ისლანდიის დედაქალაქის „ვალიურს“ (5:1) და პირველი გუნდი გახდა, რომელიც ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

მანქანების საჭადრაკო დუელი

მოსკოვი, 18 ნოემბერი. გამომთვლელი მანქანების პირველი საერთაშორისო საჭადრაკო მატჩი დამთავრდა საბჭოთა პროგრამის გამარჯვებით — 3:1. ეს მეცნიერული ბრძოლა ოთხ დაფაზე მთელ წელიწადს გაგრძელდა. მისი მიზანი გახლდათ ელექტრული მანქანებისთვის სპეციალური მათემატიკური პროგრამების დონის შედარება. მანქანებს ჰქონდათ სვლების განსაზღვრული „ამორჩევის თავისუფლება“ სტიქიურად შექმნილ საჭადრაკო პოზიციაში.

სტენფორდის უნივერსიტეტიდან მიღებულ დეპეშაში ამერიკელი მათემატიკოსები შეუთანხმდნენ საბჭოთა კოლეგებს ყაიმზე დარჩენილ ორ პარტიაში და მიულოცეს მატჩში გამარჯვება (ადრე გამართული პირველი ორი პარტია საბჭოთა მანქანამ მოიგო).

პირველი ნახტომი.

ფოტოეტიუდი ო. გელაშვილისა.

უკანასკნელი საათი...

◆ **პრაღა, 18 ნოემბერი.** ციგურებით ფიგურული სრიალის ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ოსტატმა ონდრეი ნეპელამ მესამედ დაისაკუთრა „პრაღის ციგურები“. მან მოაგროვა 1303,8 ქულა (ადგილების ჯამი — 7). ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. ჩეტვერუხინმა — 1252,1 (16). მოცეკვავე წყვილებში სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდნენ ი. გრიშკოვა და ვ. რიჟკინი — 98,8 (5).

◆ **ბუქარესტი, 18 ნოემბერი.** საერთაშორისო შეჯიბრებაში „ბუქარესტის თასზე“ სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის ეროვნული გუნდი — 24:19.

◆ *მოსკოვი, 18 ნოემბერი. 30 ნოემბერს მოსკოვის, ლენინგრადისა და ვოსკრესენსკის ყინულოვან სტადიონებზე სტარტს აიღებს ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის I და II ნაკრები კოლექტივები, კანადის „აღმოსავლეთ პროვინციების ნაკრები“ და პოლონეთის ეროვნული გუნდი.*

◆ **პრაღა, 18 ნოემბერი.** სტუდენტ ფრენბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში „17 ნოემბრის თასზე“ მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ ორი მატჩი მოიგო: ანგარიშით 3:1 (15:7, 12:15, 15:13, 16:14) მან დაამარცხა პოლონელები, ხოლო 3:0 (15:6, 15:6, 15:11) — ბელგიელები. ტურნირში თამაშობენ, აგრეთვე, გდრ-ისა და რუმინეთის ვაჟთა გუნდები.

ახალი ამბები

● **სან-პაულუ, 17 ნოემბერი.** იაპონელ ფრენბურთელ ქალთა სახელგანთქმული გუნდი „ნიჩიბო“ ტურნეს ატარებს სამხრეთ ამერიკაში. ბრაზილიის ამ ქალაქში მან ადვილად დაამარცხა „რენდის“ კლუბის სპორტსმენები — 3:0 (15:3, 15:0, 15:1). იაპონელები ბრაზილიაში გამართავენ კიდევ სამ მატჩს, რის შემდეგ ურუგვაის ესტუმრებიან.

● **ლონდონი, 17 ნოემბერი.** დიდი ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ გამოაცხადა, რომ საჭირო იქნება 150 ათასი გირვანქა სტერლინგი ინგლისელ სპორტსმენთა გრენობლისა და მეხიკოს ოლიმპიადებზე გამგზავრების დასაფინანსებლად. როგორც ყოველთვის, ასოციაციას იმედი აქვს ამ თანხის დიდი ნაწილი მიიღოს სპორტის მოყვარულთა მიერ შემოწირული ფულიდან.

ახალი ამბები

წილისყრა სუსში

სუსი, 18 ნოემბერი. გუშინ აქ გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მომავალი მატჩების წილისყრა. წინასწარ არჩეულ იქნა უძლიერესი ოთხეულის მეოთხე მონაწილე — ვ. კორჩნოი.

შემდეგ საზონათაშორისო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ბელკადიმ წილი ყარა. პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში გამოკვეთილია მონაწილეთა ორი ჯგუფი. პირველში ბ. ლარსენი ხვდება ლ. პორტიშს, ბ. სპასკი კი — ე. გელერს; მეორეში — მ. ტალი — ს. გლიგორიჩს, ხოლო ვ. კორჩნოი — ლ. შტეინ — ს. რეშევსკი — ვ. ჰორტის მატჩში გამარჯვებულს.

ფინალში შეხვდებიან ამ ორ ჯგუფში გამარჯვებულნი: ისინი ერთმანეთში გაარკვევენ მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანის მეტოქეს.

დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები

ამ დღეებში საქართველოს მშრომელები გულუხვ მასპინძლობას გაუწევენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს — ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება გდრ-ის კულტურის დღეები. და აი, თითქოს ამ მომავალი ზეიმის პრელუდია იყო ამ ქვეყნის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ჩამოსვლა და მათი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საბჭოთა სპორტსმენებთან.

შეხვედრა დაიწყო ცენტრალური სპორტული სკოლის ტანვარჯიშულ დარბაზში და ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესიც გამოიწვია. პირველ დღეს, გუშინწინ, 6-6 ჭაბუკი გამოვიდა სასპარეზოდ. შეჯიბრება დაიწყო თავისუფალი ვარჯიშით. აქ ჩვენი ბიჭების უპირატესობა აშკარა იყო. საბჭოთა გუნდის წარმატებას დასაბამი მისცა ა. ნოზაძემ, როცა მის მიერ შესრულებული ვარჯიში მსაჯებმა 9,05 ქულით შეაფასეს. მოლოდინს გადააჭარბა ა. კატკოვის გამოსვლამ. ტექნიკურად რთული და დახვეწილი მოძრაობები, ტემპიანი ვარჯიში! საბოლოოდ, მაღალი შეფასებაც: 9,55.

შემდეგ სარბიელზე საბჭოთა გუნდის წევრი ვ. ფოგელი გამოვიდა. მან თანაგუნდელზე უკეთ შეასრულა ვარჯიში — 9,6.

ჩვენი ტანმოვარჯიშეების უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო ღერძზე, ორძელზე, ტაიჭზე, ბჯენით ხტომებში. საბოლოოდ მათ 280,05 ქულა დააგროვეს, სტუმრებმა — 273,1.

პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო ფოგელი — 56,05. მომდევნო ადგილები დაიკავეს კატკოვმა (55,95) და ვ. ანანსკიხმა (55,85). ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ნოზაძე VI იყო.

გუშინ ასპარეზობდნენ ტანმოვარჯიშე გოგონები.

ა. კომახიძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — შეხვედრის მონაწილენი ერთმანეთს გადასცემენ სამახსოვრო საჩუქრებს; ქვევით — ვ. ფოგელი ტაიჭზე ვარჯიშისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გრენობლში, თეთრ ოლიმპიადაზე

[illegible]

საბჭოთა სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში (1968 წლის 6-18 თებერვალი) პროგრამის ყველა სახეობაში იასპარეზებენ ციგებით სრიალდაშვებისა და ბობსლეის გარდა. გრენობლში წავა ჩვენი ქვეყნის 95 ჰოკეისტი, მოციგურავე, ფიგურისტი, მოთხილამურე, ორჭიდელი, ბიატლონისტი, ტრამპლინიდან მხტომელი; სამთო მოთხილამურე, აგრეთვე, მწვრთნელების, ექიმების, მასაჟისტებისა და მასაჟისტთა ჯგუფი.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა 17 ნოემბერს გამართულ პლენუმზე. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ქაროვი.

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. კაზანსკიმ პლენუმს მოახსენა ჩვენს სპორტულ კავშირზე სოციალისტურ ქვეყნებთან. ბოლო წლებში გაჩნდა ძმურ ქვეყნებთან სპორტული თანამშრომლობის ახალი საინტერესო ფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ოლიმპიური იმედის“ ტურნირს.

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების საქმიანობაში, მხარს უჭერენ მის დემოკრატიზაციას, ყველა ეროვნული ფედერაციის თანასწორუფლებიანობას, იბრძვიან დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებსა და ჩემპიონატებში წარმატებით მონაწილეობა, პრინციპულობა თანამედროვე სპორტის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტისას დამსახურებულ ავტორიტეტს უქმნის სოციალისტური ბანაკის სპორტსმენებს.

პლენუმმა მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური კომიტეტის წინადადებას, რომ XXII საზაფხულო ოლიმპიური თამაშების (1980 წ.) მასპინძლობა პრაღას დაეკისროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობის მოყვარულებო, დაგვეხმარეთ!

როდის ჩატარდა I რესპუბლიკური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში და ვინ იყვნენ ფალავნები?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა თითქოს არ უნდა იყოს ძნელი. საკმარისია გადავშალოთ ცნობარი, ან თვალი გადავავლოთ ძველ ჟურნალ-გაზეთებს და ყველაფერი ნათელი გახდება. ეს რომ ასე იყოს, პასუხს მართლაც რამდენიმე წუთი დასჭირდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ასეთი ცნობარი არსებობს და ხშირად ვერც ჟურნალ-გაზეთებში ნახავთ საჭირო მასალას.

ამბობენ, რომ პირველი ოფიციალური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში 1928 წელს ჩატარდა. ზოგიერთ ვეტერანს ფალავნების გვარებიც კი ახსოვს. თუ 1928 წლის ჩემპიონატი მართლაც პირველია, მაშინ გამარჯვებულთა შესახებ ოფიციალური წყარო არსებობს: გაზეთ „კომუნისტის“ 1928 წლის 12 ივნისის ნომერი წერს, რომ „ქალაქის ცირკში დამთავრდა ცილაობა ქართულ ჭიდაობაში“. შემდეგ ჩამოთვლილია წონითი კატეგორიები და გამარჯვებულთა გვარები: „უმსუბუქესი — ჩერქეზიშვილი (თბილისი), მჩატე — ქარუმიძე (თბილისი), მსუბუქი — შ. რჩეულიშვილი (თბილისი), საშუალო — კობიძე (თბილისი), ერგ-მძიმე — თოიძე (თბილისი)“.

ნუ გაგიკვირდებათ წონითი კატეგორიების სიმცირე. იმ დროს, როგორც ჩანს, ასპარეზობა მხოლოდ ხუთ წონაში ტარდებოდა. იმავე 1928 წელს გამართულა აბსოლუტური პირველობა, რომელიც შალვა რჩეულიშვილს მოუგია.

სამწუხაროდ, 1928 წლის შემდეგ ოფიციალური ცნობები რესპუბლიკურ ჩემპიონატზე წყდება. ბევრმა ამ ასპარეზობის კვალს ვერსად მიაგნო. მაგალითად, უცნობია ვინ იყვნენ ჩემპიონები 1929-1931, 1941-1947 წლებში და ა. შ.

ჩვენში ქართული ჭიდაობის პოპულარობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თბილისში და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში დღესაც ცხოვრობენ ისინი, ვისაც კარგად ახსოვს აღნიშნული წლების ჩემპიონები. ბევრს, შესაძლოა, უშუალო კავშირიც ჰქონდა ამ ტურნირებთან. დარწმუნებული ვართ, რომ არსებობს ოფიციალური მასალები მათ შესახებ. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს დახმარებას ყველას, ვისაც შეუძლია ამ საკითხში პატარა სიცხადის შეტანაც კი.

ქართული ჭიდაობის ვეტერანებო! გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოგვაწოდოთ მასალები. ამით უდიდეს დახმარებას გაუწევთ თქვენთვის საყვარელი სახეობის ისტორიის მკვლევარებს.

ველოსიპედებით — თბილისიდან მოსკოვამდე

ერთი თვის წინ თბილისში, რუსთაველის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა უცნაურ ველოგადარბენას. მათ, ვინც 17 ოქტომბერს შემთხვევით სტარტის ადგილზე აღმოჩნდა, ალბათ არც იცოდნენ, თუ რა რთული და ძნელი გზა ჰქონდათ დასაძლევი კასპის ცემენტის ქარხნის მზარეულს ა. ხითარიძეს და 17 წლის მოსწავლეს ი. ბერიაშვილს.

გამოცდილ ველოტურისტს ა. ხითარიძეს ეს იდეა კარგა ხნის წინათ გაუჩნდა. მან ჯერ კიდევ გაზაფხულზე გადაწყვიტა ველოსიპედით თბილისიდან მოსკოვს გამგზავრება იმ ვარაუდით, რომ ოქტომბრის ზეიმს დედაქალაქში დასწრებოდა. ამ მიზნით შეიამხანაგა ხითარიძემ ახალგაზრდა ი. ბერიაშვილი. „შეთქმულებმა“ მთელი ზაფხული ვარჯიშსა და მარშრუტის ცალკეული დეტალების დადგენას მოანდომეს. ოქტომბრის ერთ მზიან სამშაბათს კი საქართველოს სამხედრო გზით მოსკოვს მიაშურეს.

...ნოსტე, გორი, ფასანაური, ყაზბეგი... აი, ოთხი ეტაპი იმ ოციდან, ველოსიპედისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე რომ გაიარეს. შემდეგ კი დაიწყო უცნობი გზა და ათასგვარი გაუთვალისწინებელი სირთულე. მაგრამ ტურისტები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ და უახლოვდებოდნენ საბოლოო მიზანს. ხანდახან დღეში 200-მდე კილომეტრს ფარავდნენ, წვიმასა და ქარში კი მხოლოდ 80-100 კილომეტრს სჭირდებოდნენ.

5 ნოემბერს მოსკოვში, შოთა რუსთაველის ძეგლთან ა. ხითარიძემ და ი. ბერიაშვილმა 2300-კილომეტრიანი ტრასა დაამთავრეს, ორი დღის შემდეგ კი წითელ მოედანზე 7 ნოემბრის სამხედრო პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციას დაესწრნენ.

• • •

ВЕЛОПРОБЕГ
ТБИЛИСИ-МОСКВА
ВЕЛОПРОБЕГ
ТБИЛИСИ-МОСКВА

ს უ რ ა თ ზ ე: „კოლმეურნის“ ველოტურისტები ა. ხითარიძე და ი. ბერიაშვილი სტარტის წინ.

ფოტო ვ. მჭედლიშვილისა.

ტუნისის ექო

სუსში დამთავრებულმა საზონათშორისო ტურნირმა ჭადრაკის ბევრი საბჭოთა მოყვარული დააფიქრა. რატომაა, რომ ბოლო წლებში ჩვენს მოწინავე დიდოსტატებს სულ უფრო იშვიათად ვხედავთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შორის? რატომ მუდამ არ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს მათი მომზადების დონე? რატომ მოგვდის გულდასაწყვეტი მარცხი? ტუნისში საკდესის კორესპონდენტმა ა. ტოკარევმა სთხოვა ტურნირის საბჭოთა მონაწილეებს გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებანი ამის თაობაზე.

აი, მათი პასუხი:

— ტურნირის რეგლამენტს მნიშვნელოვანი ხარვეზები ჰქონდა, — თქვა ე. გელერმა, — მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიდე-მ დაამტკიცა. ეს ხელს უშლიდა სრულფასოვან შემოქმედებით თამაშს. გამოვიდა, რომ მონაწილეს ჭადრაკის დაფასთან დღეში 10-12 საათს უხდებოდა ჯდომა დილით გადადებული პარტიების დამთავრების დანიშვნის გამო.

შეჯიბრება ძნელი და ხანგრძლივი იყო. ვფიქრობ, რომ ჩვენი მოჭადრაკეები სათანადოდ არ მომზადებულან ასეთი მასშტაბის ტურნირისთვის. შტეინმა, კორჩნოიმ და გიპსლისმა სერიოზულ ტურნირში უკანასკნელად მაისში ითამაშეს. ჩემთვის შეჯიბრება უფრო ადვილი იყო: ამას წინათ იუგოსლავიაში ვითამაშე დიდ ტურნირში. ლარსენმა, გლიგორიჩმა, ჰორტმა და ზოგიერთმა სხვამ უშუალოდ საზონათშორისო ასპარეზობის წინ ითამაშეს ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირში.

— ჩემი აზრით, — დაასკვნის ოდესელი დიდოსტატი, — ჩვენი საჭადრაკო ფედერაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებისთვის მზადების საკითხს: არ ჩატარებულა ერთობლივი საწვრთნელი შეკრება, რაც ადრე ეწყობოდა ხოლმე, სათანადოდ ვერ ვიყენებთ მოწინავე უცხოელი ოსტატების გამოცდილებას.

— თავადაც არ ველოდი, რომ ტურნირში ასე უხეიროდ გამოვიდოდი, — განაცხადა ლ. შტეინმა და განაგრძო: — სათანადოდ მომზადება ვერ შევძელი. ამას გარდა, სუსში წავაწყდით საორგანიზაციო სიძნელეებსაც, რომლებიც თურმე წინასწარ ცნობილი ყოფილა ფედერაციისთვის და არა ჩვენთვის. ეს ეხება რეგლამენტს და ზოგიერთ სხვასაც. სასურველია, რომ ჩვენმა ფედერაციამ მსოფლიო პირველობებში საბჭოთა დიდოსტატების მონაწილეობის საკითხი თვით მოჭადრაკეებთან ერთად განიხილოს.

წონასწორობიდან ყველაზე მეტად გამომიყვანა ჰორტთან მოგებული პოზიციის წაგებამ. ამ მარცხს დიდხანს ვერ დავაღწიე თავი, რაც ჩემს მომდევნო შედეგებსაც დაეტყო. ფინიშზე მდგომარეობა რამდენადმე გამოვასწორე, მაგრამ დაკარგულის მთლიანად ანაზღაურება ველარ მოვახერხე. უხეირო სატურნირო მდგომარეობა მაიძულებდა მკვეთრად მეთამაშა მოგებისთვის. ეს განსაკუთრებით დაეტყო ჩემს შეხვედრებს ტურნირში გამარჯვებულებთან. რისკმა ვერ მომიტანა სასურველი შედეგები.

დასასრულს მინდა აღვნიშნო ის მეგობრული სულისკვეთება, რომელიც საბჭოთა კოლექტივში იყო. სწორედ ამხანაგებს უნდა ვუმადლოდე, რომ ფინიშისთვის მეყო ძალა.

— მეც მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა შეჯიბრების რეგლამენტზე, — ჩაერია საუბარში ა. გიპსლისის მწვრთნელი, დიდოსტატი Ი. ავერბახი. — ძირითადად, ფიშერისა და რეშევსკის მოთხოვნის შესაბამისად შედგენილი ეს რეგლამენტი არღვევდა ტურნირის რიტმს. მდგომარეობა გართულდა იმის გამოც, რომ კენჭისყრისას 24 მონაწილე გაითვალისწინეს. ამან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მოპაექრენი უთანაბროდ იყვნენ დატვირთული. ეს განსაკუთრებით ითქმის საბჭოთა დიდოსტატებზე, რომლებისთვისაც ტურნირის მეორე ნახევარი ძალიან დაძაბული გახლდათ. მაგალითად, კორჩნოის ზედიზედ შვიდ დღეს მოუხდა თამაში, ხოლო დილაობით გადადებულ პარტიებს ამთავრებდა. ამავე დროს ტურნირის პირველ ნახევარში გამოერია ისეთი კვირაც, როცა გიპსლისმა მხოლოდ ერთი პარტია ითამაშა.

— ჩემი აზრით, — განაგრძო ავერბახმა, — შტეინი ტურნირისთვის საკმარისად მზად არ იყო. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა შავებით თამაშის დროს: მას კარგად მომზადებული სისტემები არ ჰქონდა, მაგრამ ფინიშზე მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა და უაღრესად მძიმე სიტუაციაში შეძლო მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის უფლების შენარჩუნება.

საერთოდ, ფინიშზე წარმატების მიუხედავად, სუსის ტურნირი პირველი დამაფიქრებელი სიგნალია ჩვენი ფედერაციის მისამართით. აუცილებელია დროულად გაკეთდეს შეჯიბრების შედეგების ანალიზი და აქედან გამომდინარე, სათანადო დასკვნებიც.

რეპორტაჟი ქვემეხების გუგუნში

...უკან დარჩა 1941-42 წლის უჩვეულოდ მძიმე, ბლოკადის ზამთარი. შიმშილით, დაბომბვით, გაუთავებელი საარტილერიო სროლით, ყინვით ქანცგამოლეული ლენინგრადელები სიხარულით შეხვდნენ მცხუნვარე მზეს. ბაღებსა და პარკებში თავი ამოჰყო პირველმა ბალახმა. ხეები ის-ის იყო მწვანით უნდა შემოსილიყო.

ორმოცდაორის გაზაფხული შფოთიანი იყო. ფაშისტთა ურდოები კვლავ ლენინგრადის კედლებთან იდგნენ და გერმანელი ჯარისკაცები შეუიარაღებელი თვალითაც ხედავდნენ კიროვის ქარხნის ჩამუქებულ კორპუსებს. ჰიტლერელები კვლავ სატანისებური სადიზმით ბომბავდნენ საცხოვრებელ კვარტალებს, მუზეუმებს, საავადმყოფოებს, ტრამვაის გაჩერებებს. მაგრამ ლენინგრადი შეუდრეკლად იდგა და ქანცს აცლიდა მტრის რჩეულ დივიზიებს. ლენინის ქალაქის დამცველებმა იცოდნენ, რომ მალე მოვა ის ნანატრი საათი, როცა ფრონტი ძალას მოიკრებს და ცეცხლისა და ფოლადის სასიკვდილო ზვავი წალეკავს მტერს.

მორალური სიმხნევე რომ შეენარჩუნებინა თავისი ჯარისკაცებისთვის, რომლებსაც ფიურერი და მთავარსარდლობა ეს უკვე მერამდენედ ჰპირდებოდნენ ლენინგრადის დაცემას, ფაშისტურმა პროპაგანდამ იაფ ტრიუკს მიმართა: ერთხელ გერმანულ სანგრებში გამოჩნდა ილუსტრირებული გაზეთი ასეთი სათაურით: „ლენინგრადი — მკვდრების ქალაქი“. ფალსიფიკატორების მიერ გაკეთებულ ფოტოსურათს ახლდა კომენტარები: „...შეტევა შეწყდა იმიტომ, რომ გვამების ხრწნისგან ქალაქში ჰაერი მოიწამლა. გერმანიის მთავარსარდლობას არ სურს, რომ რაიხის ჯარისკაცები ავადმყოფობით იხოცებოდნენ“.

ამ გაზეთის ერთი ნომერი საბჭოთა გენერალს ჩაუვარდა ხელში. მან გადაათვალიერა იგი, ორიოდე სიტყვა ჩაილაპარაკა ფაშისტური ფოტომონტაჟის ხელოვნების თაობაზე და ახალგაზრდა კაპიტანი მოიხმო. ეს იყო ვიქტორ ბიჩკოვი, რომელსაც კარგად იცნობდა ომამდელი სპორტული ლენინგრადი.

— ბუცები ხომ არ გაგცვეთია, კაპიტანო? — ჰკითხა გენერალმა.

— არა, არ გამცვეთია. ფორმაც მაქვს!

— ჩინებულია! შეკრიბე გუნდი!

ამ საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ ლენინგრადის ფრონტის კავშირგაბმულობის სისტემაში რომ ჩართულიყვნენ გერმანელი ტელეფონისტები, ალბათ საგონებელში ჩავარდებოდნენ: ვიღაცამ სამხედრო ნაწილში დარეკა და სთხოვა მოწინავე ხაზიდან ფეხბურთელები გამოგვიგზავნეო. მეთაური ამაოდ ცდილობდა სიტყვა „ფეხბურთელების“ გაშიფვრას. „კიტრები“ ყუმბარები იყო, „გოგრა“ — ნაღმი. „ბიჭები წავიდნენ“ — მზვერავების საქმეზე წასვლას ნიშნავდა. „ფეხბურთელები“ კი...

შემდეგ ყველაფერს მიხვდა და უკვე თვითონ გადასცემდა ტელეფონით სხვებს.

— ოღონდ სასწრაფოდ! დაუყოვნებლივ!

1942 წლის 6 მაისს ორი ათასამდე ლენინგრადელი შეიკრიბა „დინამოს“ სტადიონზე. ის, რაც აქ უნდა მომხდარიყო, თითქმის შეუძლებელი ჩანდა. ჰაერი ირყეოდა გერმანული ყუმბარების ხმაზე. სტადიონის მწვანე მანდორზე კი გამოვიდა მსაჯი ნიკოლოზ უსოვი და ლენინგრადის „დინამოსა“ და გარნიზონის ნაკრები გუნდები გამოიხმო.

სპორტსმენები თავს სუსტად გრძნობდნენ, შიმშილისგან გული ერეოდათ. ბევრი ხომ სულ რამდენიმე საათის წინ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა. გუნდების კაპიტნებმა გადაწყვიტეს შეუსვენებლივ ეთამაშათ, შიშობდნენ, რომ 15-წუთიანი დასვენების შემდეგ ძნელი იქნებოდა ფეხზე წამოდგომა.

ამის თაობაზე მსაჯიც გააფრთხილეს. 14.00. გაისმა უსოვის სასტვენის ხმა. დაიწყო თამაში, მაგრამ მატჩის მონაწილენი ფეხებს ძლივს დაათრევდნენ, უჰაერობისაგან გული თითქოს საგულედან ამოვარდნას აპირებდა. ყოველ ფეხბურთელს ახსოვდა გენერლის კაბინეტში გამართული საუბარი:

— ვიცი, გაგიძნელდებათ დღეს, ბიჭებო, მაგრამ უნდა გაუძლოთ. საჭიროა ტემპი, მაღალი ტემპი, როგორც ომამდე იცოდით. ეს ბრძოლა იქნება, ბრძოლა ფაშისტებთან. აი, დახედეთ ჰიტლერელთა გაზეთს: „ლენინგრადი — მკვდრების ქალაქი“. სტყუით! მკვდრები ფეხბურთს არ თამაშობენ. დე, ეს გაიგონ მათმა ჯარისკაცებმა. ისინი გაიგებენ, ამისთვის უკვე ვიზრუნეთ...

შემდეგ კი ყველაფერი დაივიწყეს. იყო სწრაფი შეტევები ცენტრსა და ფლანგებზე, იყო მეკარეთა თავგანწირული ნახტომები, გულშემატკივრების ყიჟინა ტრიბუნებზე.

დამთავრდა 90 წუთი. 7:3 „დინამოს“ სასარგებლოდ. გასახდელში სპორტსმენები სკამებზე მკვდრებივით დაცვივდნენ. ასე გაგრძელდა ხუთი, ათი წუთი.

ამ დროს კომენტატორის ჯიხურში რთავდნენ ფირზე ჩანაწერს: „ყურადღება, ყურადღება! ჩვენი მიკროფონი ლენინგრადის „დინამოს“ სტადიონზეა. დღეს პირველ მატჩში ხვდებიან გუნდები...“

მატჩის ტრანსლაცია შეუძლებელი გახლდათ, რადგან გერმანულ საარტილერიო რუკებზე „დინამოს“ სტადიონიც იყო აღნიშნული.

1942 წლის 7 მაისს მძლავრი რეპროდუქტორებით შეიარაღებული სპეციალური მანქანები უჩუმრად მიადგნენ ფრონტის ხაზს.

— ყურადღება, ყურადღება! ჩვენი მიკროფონი დგას ლენინგრადის „დინამოს“ სტადიონზე. დღეს პირველ მატჩში ხვდებიან გუნდები... სწრაფი გაჭრა მარჯვენა ფრთაზე... უძლიერესი დარტყმა შორეულ კუთხეში... დინამოელები იძულებული არიან, მანდვრის ცენტრიდან დაიწყონ...

უეცრად ორივე მხარეს შეწყდა სროლა. ჰიტლერელები გაოცდნენ. როგორ, მკვდრები ფეხბურთს თამაშობენ? რამდენიმე წუთის შემდეგ მოწინააღმდეგის მხრიდან გაისმა გაშმაგებით: „ფოიერ“, „ფოიერ“. ქვემეხებმა დაიქუხეს, რომ რეპროდუქტორების ხმა ჩაეხშოთ, მაგრამ მატჩის 90 წუთი მაინც გადაიცა შეუსვენებლივ.

ფაშისტური ილუსტრირებული გაზეთის ბოლო ნომერი ვერ მოხვდა ჯარისკაცულ სანგრებში...

• • •

— ყურადღება, ლაპარაკობს ლენინგრადი, ვიწყებთ რეპორტაჟს, ერთმანეთს ხვდებიან გუნდები...

ლენინგრადის საქალაქო ქსელში და საკავშირო რადიოშიც ხშირად გაისმის ლენინგრადის რადიოს სპორტული კომენტატორის ვიქტორ ნაბუტოვის ხმა. იგი მომხიბვლელად გადმოცემს ჰოკეის მოედნებზე გაჩაღებული მწვავე ბრძოლის ამბავს, საწყლოსნო ბილიკებზე გამართული ასპარეზობის შედეგებს.

...რადიოკომენტატორის მოვალეობას იგი ზოგჯერ მიჰყავდა „დინამოს“ სტადიონზეც — იქ, სადაც 25 წლის წინათ გაიმართა სპორტის ისტორიაში თითქმის ყველაზე უჩვეულო მატჩი. ამ მატჩის მონაწილე ნაბუტოვიც იყო.

მაშინ, 1942 წელს, „დინამოს“ სპორტულ ღირსებას იცავდა ბორის ორეშკინი. ამჟამად იგი ლენინგრადის ერთ-ერთი კოლექტივის მწვრთნელია ფეხბურთში. ანატოლი ვიქტოროვი ლენინგრადელ ჰოკეისტებს წვრთნის. ალექსანდრე ფიოდოროვი ქირურგი გახდა და ახლა მედიცინის სამსახურის პოდპოლკოვნიკია, არმიაში მსახურობს. არკადი ალოვი „ზენიტის“ უფროსი მწვრთნელია. ვფიქრობ, მას შეუძლია უთხრას სატურნირო ცხრილის ბოლოს მოქცეულ ზენიტელებს: „ითამაშეთ ისე, როგორც თამაშობდნენ ლენინგრადელი დინამოელები 1942 წლის 6 მაისს და საკავშირო ჩემპიონატის ლიდერები გახდებით“.

სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ ვალენტინ ფიოდოროვს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს. ისიც ხომ თამაშობდა 1942 წლის 6 მაისს. დროს თითქოს ვერაფერი დაუკლია ამ მხარბეჭიანი, ჩასკვნილი კაცისთვის, რომელიც ახლაც უწინდებურად მხიარული და ენერგიულია. ამ ცოტა ხნის წინ ვალენტინი წავიდა ლენინგრადიდან და ახლა ოდესის „ჩერნომორეცს“ წვრთნის.

ამ ისტორიული მატჩის მონაწილეები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. იგონებენ იმ შორეულ მაისის დღეს, როცა 22 ლენინგრადელმა სპორტსმენმა აიძულა ფაშისტური ვაიგაზეთი ხმა ჩაეკმინდა.

ა. ნეპომნიაშჩი.

საქართველოს პირველობა

15 ნოემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● ასკ (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:0. მსაჯი ლ. გოშაძე (თბილისი).

● „ქართლი" (გორის რაიონი)— „მერცხალი" (მახარაძე) 1:2. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა ნაწვიმარ, ატალახებულ მინდორზე და, მიუხედავად ამისა, მან საკმაოდ საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა. ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა ნინუამ, ხოლო ტაიმის დასასრულს მანვე კარგად გამოიყენა ისიანის გადაცემა — 2:0. შესვენების შემდეგ ქეიშვილმა გაქვითა ერთადერთი გოლი.

● „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

სტუმრებმა უკეთ აუღეს ალღო მძიმე სათამაშო პირობებს (წვიმა, ტალახი) და გახსნეს კიდეც ანგარიში (ფოცხვერია). შემდგომში მათ ახალ წარმატებასაც მიაღწიეს და მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო დანელიამ საპასუხო გოლის გატანა.

● „დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

თამაში პირველივე წუთებიდან დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ვინაიდან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. თამაშის მეორე ნახევარში ყვარლელმა ფეხბურთელებმა გააძლიერეს ტემპი და ბეროშვილმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა სტუდენტთა გუნდის კარში.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „განთიადი" (ბორჯომი) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

სტუმრებს დასაწყისში ჰქონდათ გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა, რაც დამთავრდა ჩადუნელის მიერ გატანილი გოლით. მეორე ტაიმში ინიციატივამ მთლიანად სპარტაკელთა მხარეს გადაინაცვლა, რომლებმაც სამჯერ ზედიზედ აიღეს სტუმრების კარი (ქოქოევი, მარგიევი, გაბოძე).

17 ნოემბერს შედგა ერთი მატჩი.

● „გარეჯი" (საგარეჯო) — „აერო" (გალი) 2:0. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

• • •

ზონებში გამარჯვებულთა ფინალური ტურნირი.

ქუთაისი — ჩხოროწყუ 0:1. მახარაძის გუნდი ორჯერ არ გამოცხადდა სათამაშოდ, რისთვისაც მოიხსნა გათამაშებიდან.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 19 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი" (მახარაძე)	39	23	13	3	55—20	59
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	41	25	7	9	70—31	57
„დურუჯი" (ყვარელი)	40	25	7	8	70—38	57
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	41	25	7	9	52—27	57
„კოლხეთი" (ცხაკაია)	41	19	13	9	71—58	51
„სინათლე" (თბილისი)	39	17	13	9	53—30	47
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	40	19	8	13	71—49	46
„მესხეთი" (ახალციხე)	38	18	10	10	55—37	46
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	38	15	11	12	52—41	41
„გარეჯი" (საგარეჯო)	41	14	13	14	53—57	41
„ნარინჯი" (ბათუმის რაიონი)	40	13	14	13	61—56	40
„სამცხე" (აწყური)	41	14	12	15	28—38	40
„განთიადი" (ბორჯომი)	40	16	8	16	50—74	40
ასკ (თბილისი)	41	14	9	18	40—52	37
„აერო" (გალი)	41	13	10	18	42—55	36
„ქართლი" (გორის რაიონი)	40	13	10	17	38—53	36
„ფეიქარი" (წულუკიძე)	39	12	8	19	41—49	32
„სპარტაკი" (ცხინვალი)	38	9	12	17	40—48	30
„ისანი" (თბილისი)	41	8	14	19	36—58	30
„ბახმარო" (ჩოხატაური)	39	8	12	19	48—63	28

• • •

შენიშვნა: ზუგდიდის „ოდიში" და ტყვარჩელის „მეშახტე" გამოეთიშნენ გათამაშებას, მაგრამ მათი შედეგები ფიქსირებულია სატურნირო ცხრილში. ამიტომაა, რომ ზოგიერთ გუნდს ნათამაშევი აქვს 41 მატჩიც კი.



დიდი პოპულარობით

ქალაქის ელექტრომექანიკური ქარხნის ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი. აქაურმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ პირველობაში.

ქუთაისელებმა ჯერ ზონაში გაიმარჯვეს, ხოლო შემდეგ ფინალში შეხვდნენ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1. ქუთაისელი ფეხბურთელები გახდნენ პრიზის მფლობელნი.

გ. დოგორჯგინიძე.

ქუთაისი.

„მიტროპის თასი" გათამაშდა

„მიტროპის თასის" გათამაშება დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკისა" (ტრნავა) და უნგრეთის „უიპეშტის" (ბუდაპეშტი) ორი ფინალური შეხვედრით.

პირველ მატჩში, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა (2:1), ხოლო მეორე შეხვედრა მოიგეს „სპარტაკის" ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1 და ბურთების უკეთესი შეფარდებით დაეუფლნენ თასს.

ფეხბურთი 67

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

საფრანგეთი

XIV ტურში „სენტ-ეტიენმა" შინ მოუგო „სოშოს" — 2:0, ხოლო ჩემპიონატის ლიდერმა „ნიცამ"—„ლილს" —3:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „რედ სტარი" — „ლიონი" 1:1, „რუანი" — „აიაჩო" 3:1, „ბორდო" — „რენი" 6:2, „ანჟე" — „ნანტი" 1:0, „სტრასბურგი" — „მეცი" 0:0, „მარსელი" — „მონაკო" 2:1, „ლანი" — „სედანი" 3:0, „ვალანსიენი" — „ექსი" 1:0.

აი, ლიდერთა სამეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ნიცა"	13	24:9	20
„სენტ-ეტიენი"	13	23:11	19
„რედ სტარი"	14	23:15	18

ინგლისი

XVI ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო ლივერპულში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა მიიღო ქვეყნის ჩემპიონი — „მანჩესტერ იუნაიტედი". მანჩესტერელებმა გაიმარჯვეს (2:1) და ლიდერობა დაისაკუთრეს.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „არსენალი" — „ევერტონი" 2:2, „ჩელსი" — „შეფილდ იუნაიტედი" 3:0, „კოვენტრი" — „ფულჰემი" 0:3, „მანჩესტერ-სიტი" — „ლესტერ-სიტი" 6:0, „ნიუკასლ იუნაიტედი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 1:0, „ნოტინგემ ფორესტი" — „ვულვერჰემპტონ უოnderერსი" 3:1, „შეფილდ იუნაიტედი" — „ლიდს იუნაიტედი" 1:0, „საუთჰემპტონი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 1:2, „სტოკ-სიტი" — „სანდერლენდი" 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ბერნლი" 8:1.

ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

„მანჩესტერ იუნაიტედი"	16	27:16	22
„ლივერპული"	16	25:12	21
„მანჩესტერ-სიტი"	16	33:17	20

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ფერენცვაროშის" შეხვედრა „უიპეშტ დოჟასთან" დიდი სიმძაფრით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ — 3:3.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ჰალადაში" — „ჩეპელი" 1:0, „დუნაივაროში" — „ტატაბანია" 2:0, „კომლო" —დიერის „ვაშაში" 3:2, ეგერის „დოჟა" — „შალგოტარიანი" 2:2, „სეგედი" — „პეჩი" 2:1, მტკ — „დიოშდიერი" 2:0, „ჰონვედი" — „ვაშაში" 2:1.

ახალი ჩემპიონის — „ფერენცვაროშის" შემადგენლობაში უნგრული ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლები თამაშობენ: მცველები მატრაი და პანჩიჩი, ნახევარმცველები იუკასი და სიუჩი, თავდამსხმელები ალბერტი, რაკოში და ვარგა. „ფერენცვაროშს" ამ სეზონში ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგია.

„ფერენცვაროში"	28	82:19	52
„უიპეშტ დოჟა"	28	82:33	41
„ვაშაში" (დიერი)	28	63:35	36

დანია

გათამაშების ბოლო ტურში კოპენჰაგენის „აკადემინსკმა" გასვლით მატჩში მოუგო „აარჰუსს" (2:1) და ჩემპიონობა მოიპოვა.

აი, ხუთი საუკეთესო გუნდის შედეგები:

„აკადემინსკი"	22	42:25	31
„ფრემი" (კოპენჰაგენი)	22	43:24	29
„ჰორსენსი"	22	36:44	28
„ვეიდოვრე"	22	32:18	27
„აალბორგი"	22	37:36	23

ესპანეთი

VIII ტურში ლიდერმა — მადრიდის „ატლეტიკომ" სევილიაში დაამარცხა ადგილობრივი გუნდი „სევილია" და ლიდერობა განიმტკიცა. მადრიდის „რეალმა" შინ მოუგო ხეტაფეს „ბეტისს" — 3:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „რეალ სარაგოსა" — „ესპანიოლი" 4:2, „ბარსელონა" — „კორდოვა" 3:2, სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადი"—ბილბაოს „ატლეტიკო" 1:1, „პონტევედრა" — „საბადელი" 1:0.

„ატლეტიკო" (მადრიდი)	8	15:4	14
„რეალი" (მადრიდი)	8	18:6	11
„ბარსელონა"	8	12:9	11

იტალია

ქვეყნის ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა" გასვლითი მატჩი წააგო „კალიარისთან" — 0:2, ხოლო მილანის „ინტერნაციონალემ" ბრეშიაში, ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:2. ჩემპიონატის ლიდერმა „რომამ" ფრედ ითამაშა ვიჩენცას „ლანეროსისთან" — 0:0.

„რომა"	8	9:5	12
„ტორინო"	8	13:5	11
„მილანი"	8	13:6	11

ჰოლანდია

როტერდამის „ფეიენოორდმა" გასვლითი მატჩი მოუგო „სიტარდიას" — 2:1. ქვეყნის ჩემპიონმა — ამსტერდამის „აიაქსმა" გრონინგენში ფრედ ითამაშა ადგილობრივ ვავ-თან — 1:1.

„ფეიენოორდი"	13	30:8	24
„აიაქსი"	13	45:7	23
ადო (ჰააგა)	13	25:16	18

პოლონეთი

ჩემპიონატის 26 ტურიდან გათამაშდა ზუსტად ნახევარი — 13 ტური. აი, როგორია ლიდერთა ჯგუფი:

„ლეგია" (ვარშავა)	13	20:9	20
„რუხი" (ხოჟუვი)	13	31:17	19
„გურნიკი" (ზაბჟე)	13	23:16	16
„პოლონია" (ბიტომი)	13	17:13	16

გფრ

მორიგ ტურში „დუისბურგმა" შინ მოუგო ლიდერს — „ნიურნბერგს" — 2:0. მიუნხენის „ბაიერნმა" დაამარცხა „შტუტგარტი" — 3:1.

„ნიურნბერგი"	13	31:11	20
„ბაიერნი"	13	25:17	18
„აინტრახტი" (ბრაუნშვ.)	13	14:13	17

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ლუგანსკი). **დღეს** — სათადარიგო შემადგენლობანი. დასაწყისი 15 ს. **ხვალ** — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

სპორტული ტანვარჯიში. ცენტრალური სპორტსკოლის ტანვარჯიშის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). **დღეს** — სსრ კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩი. დასაწყისი 17 ს.

ძიუ-დო. ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49). **დღეს** — თბილისის „ბურევესტნიკისა" და იაპონიის პროფკავშირული ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. დასაწყისი 15 ს.

ამომავალი მზის ქვეყნიდან—ქართლის გულში

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფალავნებს საკმაო გამოცდილება აქვთ ძიუდოში. სწორედ ამიტომ გაუწიეს მათ პირველი მასპინძლობა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამოსულ იაპონიის ძიუდოისტთა პროფკავშირულ ნაკრებს.

შეხვედრა გორელებმა სანაქებოდ მოაწყვეს. ტრადიციული მისალმების შემდეგ დარბაზში გაისმა ქართული საჭიდაო მელოდია. სტუმრების თხოვნით სარბიელზე ცეცხლოვანი ქართული ჭიდაობა გაჩაღდა.

— შესანიშნავია, შესანიშნავი! — ვერ დაფარა აღტაცება იაპონიის მოჭიდავეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ტ. კოტერამ.—ძიუდო მართლაც ჰგავს თქვენს ჭიდაობას და ბევრი ილეთიც თითქოს ერთნაირია.

ქართველმა ფალავნებმა შესანიშნავ სტილში ჩაატარეს მთელი შეხვედრა. მართალია, პირველი ორი ბრძოლა ი. იმერლიშვილმა და რ. მაღალთაძემ ფრედ დაამთავრეს (მ. სეკიკუჩთან და ი. სეუტთან), მაგრამ მასპინძლების წარმატება მესამე შეხვედრიდან დაიწყო, როცა გ. ხინჩიკაშვილმა წუთსა და 20 წამში მოუგო მ. მასატას. მერე კი გ. ბორჩაშვილმა მტკივნეულ ილეთზე „დაიჰირა" ტ. მინორუ და აიძულა შეხვედრის დამთავრებამდე 40 წამით ადრე დანებებულიყო. მას შემდეგ კი, რაც ვ. იაშვილმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა ნ. ტომააკთან, გორელებმა კიდევ ერთი და თანაც სენსაციური გამარჯვება იზეიმეს: გ. თანდილოვმა ხ. იაკუს წმინდად დამარცხებას სულ რაღაც 5 წამი მოანდომა.

საინტერესო გამოდგა დ. ბერუაშვილისა და ცნობილი იაპონელი ფალავნის ნ. კაზუეკის ორთაბრძოლა. ბერუაშვილმა მე-2 წუთზე შეძლო ქულის აღება, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა.

საერთო ანგარიშით 5,5:1,5 გაიმარჯვეს გორელებმა.

ამავე დღეს ჩატარდა გორისა და იაპონიის მოჭიდავეთა არაოფიციალური შეხვედრა, სადაც კვლავ მასპინძლებმა იმარჯვეს — 4:3.

ასპარეზობის შემდეგ იაპონიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა კოტერამ აღნიშნა, რომ ისინი კიდევ ერთ შეხვედრას გამართავენ თბილისში, „ბურევესტნიკის" ნაკრებთან, ეწვევიან კიშინიოვს და მერე, პოლონეთისა და გდრ-ის გუნდებთან შეხვედრის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდებიან.

თ. გაჩეჩილაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

• • •

სურათზე: სარბიელზე არიან რ. მაღალთაძე და ი. სეუტი.

ფოტო ავტორისა.

ჯეიმს ტურბერი

უნივერსიტეტის დღეები

უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, ფიზიკა და ქიმია მიყვარდა, პოლიტეკონომია კი არც ისე მეხერხებოდა. იყო ერთი ჩემზე წყალწაღებული სტუდენტიც, სახელად ჯიმი გრინი. იგი ფეხბურთელთა გუნდში ერთ-ერთ ვარსკვლავად ითვლებოდა, მაგრამ თამაშის უფლებას მანამდე არ აძლევდნენ, სანამ ყველა საგანს არ ჩააბარებდა. ეს კი მეტად ძნელი საქმე იყო ჯიმისთვის. მართალია, ფეხბურთის მინდორზე იგი შესანიშნავად ფლობდა თავის ზორბა სხეულს, მაგრამ აუდიტორიაში ერთი გოლის გატანასაც ვერ ახერხებდა.

პროფესორები ჯიმის მიმართ გულისხმიერებას იჩენდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ მას. ყველაზე გულკეთილი კი ჩვენი ეკონომიის პროფესორი, ტანმორჩილი ბისუმი გახლდათ. იგი მუდამ უმარტივეს შეკითხვებს აძლევდა ჯიმის, მაგრამ ფეხბურთელისთვის ეს შეკითხვები იოლი როდი იყო.

ერთ დღეს, ტრანსპორტზე რომ ვმსჯელობდით, პროფესორმა ბისუმმა ჯიმი გამოიძახა:

— დაასახელეთ ტრანსპორტის ერთ-ერთი საშუალება! — თქვა მან, მაგრამ ჯიმი უმწეოდ იდგა.

— რაიმე საშუალება, რომელსაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადავყავართ, — განუმარტა პროფესორმა.

ჯიმიმ პირი დააღო, მაგრამ იქიდან ერთი სიტყვაც არ ამოსულა.

— შეგიძლიათ დაასახელოთ ტრანსპორტის თუნდაც ისეთი საშუალება, — განაგრძო პროფესორმა, — რომელსაც, ჩვეულებრივ, ხმელეთზე მოგზაურობის დროს ვიყენებთ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ პროფესორმა უცებ უცნაური ხმა გამოსცა:

— ჩაქ, ჩაქ... — და სახეზე წამოწითლდა. შემდეგ იმედიანად გადახედა აუდიტორიას.

ჩვენ ყველანი ვეთანხმებოდით პროფესორს, რომ ჯიმი გრინი არ უნდა ჩამორჩენილიყო, რადგან სეზონის ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა — ჩიკაგოს მატჩი კარს იყო მომდგარი.

— ტუუუ, ტუუუტ, ტუუ-ტუუუტ, — დაიყვირა ერთმა სტუდენტმა, რომელიც უკან იჯდა.

ჩვენ ყველამ იმედით გადავხედეთ ჯიმის.

— დაგ, დაგ, დაგ, დაგ, — გაისმა ოთახის მეორე მხრიდან.

წარმოდგენა პროფესორმა დაასრულა: — ჩიქ, ჩიქ, ჩიქ, ჩიქ, — მაგრამ ამ ხმებმა ვერ უშველეს ჯიმის, რომ თავში რაიმე აზრი მოსვლოდა.

— როგორ ჩამოხვედით წლეულს უნივერსიტეტში? — ჰკითხა პროფესორმა.

— მამაჩემმა გამომგზავნა, — მიუგო ფეხბურთელმა.

— რითი? რითი? — ჰკითხა პროფესორმა.

— ფული მომცა, — მშვიდად უპასუხა ჯიმიმ.

— არა, არა, დაასახელეთ ტრანსპორტის საშუალება, რომლითაც იმოგზაურეთ!

— მატარებელი! — მიუგო ჯიმიმ.

— სავსებით მართალი ხართ, მისტერ გრინ, — თქვა პროფესორმა. — ახლა კი სხვა სტუდენტი გამოვიდეს. მისტერ ქვინსი, გვითხარით, გეთაყვა...

ინგლისურიდან თარგმნა
ნინელი კაკაბაძემ.

„ლელო“ დღეს მკითხველებს სთავაზობს ახალ რუბრიკას — „სიცილის სააგენტო“. მადლიერი ვიქნებით, თუ არ დაიზარებთ, თავს ძალას დაატანთ და თქვენც გაგვაცინებთ.

წინასწარ გიხდით მადლობას
„ლელო“.

„სიცილის სააგენტოს“ ბიულეტენი №1

ბრაკონიერები

„გაქცეულ ირემზე“ სროლაში შეჯიბრებისას სპორტსმენებმა ყველა ირემს სული გააფრთხობინეს. მალე ბრაკონიერები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან, რადგან წელიწადის ამ დროს ირემზე ნადირობა სასტიკად აკრძალულია.

რეკორდი არ ჩათვალეს

უროს მტყორცნელთა ასპარეზობისას ცნობილმა სპორტსმენმა მიხა ლტურებულმა ურო ისე ძლიერად ტყორცნა, რომ იგი სტადიონს გადაევლო და მჭედელი ქ. ლურსმანაშვილის სახლის ღია ფანჯარაში შევარდა. ლურსმანაშვილმა ურო იშვიათ მეტეორად მიიჩნია და ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წაიღო. ბუნებრივია, რომ ლტურებულის შედეგი რეკორდად არ ჩათვალეს.

მჭედლის უნებლიე შეცდომა ძვირად დაუჯდა სპორტსმენს.

•

საზღვარგარეთიდან

ერთფეროვნული ხერხი

ქალაქ ცინცინატის ბეისბოლისტებმა იჩივლეს, ნიუ-იორკში მატჩების დროს ტრიბუნებიდან გამუდმებით ნაგავს გვაყრიანო. გუნდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოთამაშეებს ტანჯავს ასეთი ერთფეროვნება.

კარგი დებიუტი

გრენლანდიის საფეხბურთო ჩემპიონატში ორი ტური გათამაშდა. შარშანდელმა ჩემპიონმა „ფქ ეტამ“ ორივე მატჩი წააგო (0:2, 0:3). მიუხედავად ამისა, „ფქ ეტას“ დაცვის ხაზი ჩინებულად მოქმედებდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გუნდის ახალბედა მცველმა მ. ავტო-გოლიმ, რომელმაც თითო თამაშში თითო გოლი გაიტანა.

შურიანი ხალხი ამტკიცებს, ავტო-გოლიმ ორივე ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

უსიტყვოდ...
ნახ. მანელისა (გდრ).





მკითხველთა საყურადღებოდ!

დღეს „სიცილის სააგენტოს“ ფოტოკლუბი იწყებს მუშაობას. თქვენს წინაშეა ფოტოსურათი, რომლის ავტორს წარწერის გაკეთება დავიწყებია. გთხოვთ დაგვეხმაროთ!

მაშ ასე, რას დაარქმევდით ამ ფოტოსურათს???

მარიუშ კვიატკოვსკი

სპეციალისტი

კუპეში ორნი ვიყავით — მე და ის კაცი. გდინიიდან მოვდიოდით. გულახდილად რომ ვთქვათ, გოგონა, რომელმაც ჩაი მოგვიტანა, სულაც არ გახლდათ ზღაპრული ეგზემპლარი.

მამაკაცმა მოსვა ჩაი და შენიშნა:

— ჩაიც რომ ისეთი იყოს, როგორიც გოგოა... არ იქნებოდა ცუდი, არა?

მერე ისევ ჩაის მიუბრუნდა.

— ბოლოს კარგი ჩაი დავლიე... აბა, გამოიცანით, სად? არაბეთის ნახევარკუნძულზე. საუცხოოა. ჩაი იქ პიტნით მოაქვთ, პატარა ფინჯნებით. ასეთ დედაკაცს კი იქ ვერ ნახავთ. არაბი ქალები ლამაზები არ არიან, მაგრამ ძალზე კი უფრთხილდებიან მათ.

„მეზღვაური იქნება!“ — გავიფიქრე ჩემთვის. ტუევიდან ჯიალდოვამდე მოვიარეთ საუდის არაბეთი, ქუვეიტი, სირია და ლიბანი.

ქალების მხრივ ყველაზე უკეთესი ქუვეიტი აღმოჩნდა, ხოლო ჩადრში გახვეული არაბეთი არ იყო საინტერესო. შორეული აღმოსავლეთი ამ თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავი გახლდათ, ყველას კი იაპონია სჯობდა.

— შესანიშნავი გოგონები არიან! — ენთუზიაზმით განაგრძობდა ჩემი თანამგზავრი. — რა კულტურაა! როგორი დახვეწილობა! — აქ მან გულდასმით და სპეციალისტის გატაცებით განიხილა იაპონელების ანატომიური აგებულება.

„გემის ექიმი იქნება!“ — შესწორება შევიტანე ჩემს ადრინდელ ვარაუდში. — „როგორ აინტერესებს ადამიანი“...

მატარებელი ვარშავას რომ უახლოვდებოდა, ჩვენ უკვე კუბაში ვიყავით. კაცმა რომ თქვას, კუბელი ქალები სხვებს არ ჩამოუვარდებიან.

გამომშვიდობებისას ჩემს თანამგზავრს ვკითხე:

— ვერ მეტყვით, ვინ ბრძანდებით, ამდენი რომ გიმოგზაურიათ?

— სპორტული მოღვაწე გახლავართ.

გარეგნობა მართლაც რომ მაცდუნებელია!

პოლონურიდან თარგმნა
მერი მოსიაშვილმა.



ფორსირებული ჟაიმი.
ნახ. გ. გიგაურისა.

სხვადასხვა

„სასწაულმოქმედი ფხვნილი“

აფრიკული სახელმწიფოს — დაგომეას პარლამენტმა გამოიტანა დადგენილება, რომელიც კრძალავს საფეხბურთო მინდორზე ფიცის დადებასა და ჯადოქრობას. დადგენილება გამოიტანეს პორტო-ნოვოსა და კოტონუმეს ფეხბურთელთა მატჩის შემდეგ. შეხვედრის დაწყებამდე ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეებმა მინდორს მოაყარეს „სასწაულმოქმედი ფხვნილი“, რომელიც მათ თითქოს გამარჯვებას მოუტანდა.

მთავრობის დადგენილება საფეხბურთო ჯადოქრებისა და ფიცის მოყვარულთათვის ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს.

მართლაც სასაცილოა

ინგლისელი რეგბისტების მატჩების დროს წესადაა მიღებული, რომ გოლის გამტან მოთამაშეს კოცნით „აჯილდოებენ“. მაგრამ ამ სახეობის ეროვნულ კავშირს მიაჩნია, რომ რეგბისტებისთვის ხვევნა-კოცნა დაუშვებელი და თანაც, უბრალოდ, სასაცილოა.

რედაქტორი ვ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04257